ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/3

ქ. თბილისი 1 მარტი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი უფროსის პირველი მოადგილის გიორგი კილაძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ფერთანათება" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხოსიტაშვილის სახით, სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველო სკანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

,,სარემონტო სამუშაოების" შესყიდვა (შემდგომში „სამუშაოები") (CPV კოდი: 45442180) ხელშეკრულების პირობების და დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **951.85 (ცხრაას ორმოცდათერთმეტი ლარი და 85 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღურებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაობის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.

5. ხელშეკრულების შესრულების ვადა და მიწოდების პირობები

5.1 სამუშაოები განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის N2.
5.2 სამუშაოები დასრულდება 2019 წლის 11 მარტის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.
7.2 სამუშაოების განხორციელების განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი)კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადეცემა მიმწოდებლს, ხოლო ორი შემსყიდველს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი 707667116

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ბ.ა.

გიორგი კილაძე

მიმწოდებელი:

შპს ,,ფერთანათება"
მის: რუსთაველის ქ 32 /41
ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBG22
ს/კ: 416325300
ა/ნ: GE32TB7238536080100009
ტელ: 551 66 23 50

დირექტორი ბ.ა

გიორგი ხოსიტაშვილი

დანართი N1

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
	ფასადის კედლის დამუშავება (დაბრიზგვა)	მ2	87	4	348	3	261	609
	არსებული რადიატორის მონტაჟი	ცალი	1	40	40	30	30	70
22	ჯამი							679.00
23	ზედნადები ხარჯი -10%	10%						67.90
24	ჯამი							746.90
25	გეგმიური დაგროვება -8%	8%						59.75
26	ჯამი							806.65
30	დღგ -18%	18%						145.20
31	ჯამი							951.85

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე

გ.ა.

გიორგი კილაძე

დირექტორი

გ.ა

გიორგი ხოსიტაშვილი